საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/73 " 16 " ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თ. ხაჟომიას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ ხაჟომიამ 2020 წლის 10 ივნისს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაყვანა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დატვირთულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კოლეგიის შემადგენლობის გაზრდა. ამასთან, გასათვალისწინებელია როგორც თამარ ხაჟომიას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მუშაობის გამოცდილება მცხეთის რაიონულ სასამართლოში, ისე კერძო სამართლის მიმართულებით მისი სხვა პროფესიული აქტივობებიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 22 ივნისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ ხაჟომია გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი